საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის

საქართველოს ეროვნული პლატფორმის

მე-12 საერთო კრების ოქმი

19 დეკემბერი 2023 წ.
საქართველო, ქალაქი თბილისი, 26 მაისის მოედანი,
სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ თბილისი".
09:30 საათი

2023 წლის 19 დეკემბერს, სასტუმროში „ჰოლიდეი ინნ თბილისი" ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის რიგით მე-12 საერთო კრება.

2023 წლის 19 დეკემბრის მონაცემებით პლატფორმის წევრად რეგისტრირებულია 209 ორგანიზაცია. საერთო კრებაზე რეგისტრაცია გაიარა პლატფორმის წევრი 128 ორგანიზაციის 146 წარმომადგენელმა, აქედან სრულუფლებიანი ხმის უფლებით - 128 წარმომადგენელი.

წესდების 7.3. მუხლის თანახმად, წევრთა საერთო კრება იქნა ცნობილი უფლებამოსილად, რადგან მას სიითი შემადგენლობის 1/3 მეტი ესწრება.
წევრთა საერთო კრება მოწვეულია 2019 წლის 7 ოქტომბერს დამტკიცებული წესდებით და საერთო კრების მოწვევის პროცედურის დაცვით.

იხილეთ კრებაზე წარმოდგენილი ორგანიზაციები და წარმომადგენელთა სია.

კრებას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდა ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი.

შეხვედრა გახსნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ, ნინო ჩხობაძემ, რომელიც მიესალმა პლატფორმის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს. მან მონაწილეებს დასამტკიცებლად წარუდგინა კრების დღის წესრიგი.

კრების დღის წესრიგის მიღებაზე ჩატარდა ღია კენჭისყრა.

გადაწყვეტილება: თავმჯდომარის მიერ წარდგენილი საერთო კრების დღის წესრიგი უმრავლესობით დამტკიცდა.

საერთო კრების დღის წესრიგის ძირითადი საკითხები:

1. **პლატფორმის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გამოწვევები;**
2. **წესდებაში ცვლილებების შეტანა;**
3. **ხმისდამთვლელი კომისიის არჩევა (7 წევრი);**
4. **საარჩევნო პროცედურების გაცნობა;**
5. **საქართველოს ეროვნული პლატფორმის არჩევნები;**
6. **არჩევნები;**
7. **არჩევნების შედეგების გამოცხადება / საერთო კრების შეჯამება.**

დანართში იხილეთ სრული დღის წესრიგი.

1. **პლატფორმის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გამოწვევები**

საერთო კრების პირველ ნაწილში პლატფორმის თავმჯდომარემ, ნინო ჩხობაძემ და მისმა მოადგილეებმა (ლაშა ტულუში, ნუგზარ კოხრეიძე), ასევე საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა, ნათია კუპრაშვილმა და ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის თანათავმჯდომარემ, კახა გოგოლაშვილმა წარმოადგინეს პლატფორმის მიერ 2021-2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშები.

ნინო ჩხობაძე (საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე): თავმჯდომარემ სთხოვა წევრებს წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ გარდაცვლილი თამაზ ვაშაკიძისა და სხვა კოლეგების ხსოვნას. ასევე მან მიულოცა პლატფორმის წევრებს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება. ქალბატონმა ნინომ მიმოიხილა სამუშაო პროცესები, რომელიც საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას უძღოდა წინ. აღნიშნულ პროცესში პლატფორმის წევრთა აქტიური ჩართულობა იქნა უზრუნველყოფილი. პარლამენტის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფებში პლატფორმის მხრიდან წარდგენილი იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც თემატურად შეირჩა თავიანთი საქმიანობისა და მაღალი პროფესიული გამოცდილების საფუძველზე. პარლამენტთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. გაიმართა 3 ერთობლივი კონფერენცია. კონფერენციების ფარგლებში თემატურად იყო განხილული როგორც 12 პრიორიტეტთან დაკავშირებული საკითხები, ისე მსჯელობა მიმდინარეობდა ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე.

ლაშა ტულუში (საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილე, პირველი სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი): პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა პლატფორმის წევრებს მიულოცა ისტორიული გამარჯვება, რომელიც კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას გულისხმობს. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია გავაგრძელოთ მუშაობა, შეთანხმება და მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა, იმისათვის რომ მომდევნო წლის ბოლოს საქართველო გადავიდეს გაწევრიანების მოლაპარაკებების პროცესზე.
მან აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის წარმატებული პროექტი. "ჩვენ შევძელით გადაგვედგა ისეთი მნიშვნელოვანი და ღირებული ნაბიჯები, რომელიც დადებითად შეფასდა და აისახა ევროკომისიის ანგარიშში, რომლის საფუძველზეც მიენიჭა საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.
ჩვენ ბევრი მიმართულებით ვიყავით აქტიურები, გვქონდა ხარვეზებიც, იყო ბევრი სიძნელეებიც, გვაქვს პრობლემებიც, თუმცა ამ ყველაფერმა მოგვცა გამოცდილება, რომელსაც მომავალში აუცილებლად გავითვალისწინებთ და გამოვიყენებთ. საქართველოს ეროვნული პლატფორმა იყო ძალიან აქტიური საგარეო ურთიერთობების ნაწილშიც. მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების პლატფორმების მხარდაჭერა, რომელიც საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ განახორციელა, კერძოდ: ფინანსური რესურსით დახმარება გავუწიეთ ომში მყოფ უკრაინას,ასევე დავეხმარეთ აზერბაიჯანის, სომხეთისა და ბელარუსის პლატფორმებს ეფექტურ და სრულფასოვან ფუნქციონირებაში".

ნუგზარ კოხრეიძე (საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილე, მესამე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი): მესამე სამუშაო ჯგუფი მონაწილეობდა ნამოხვანის ირგვლივ მიმდინარე მედიაციის პროცესში. 2 წლის განმავლობაში ჩატარდა 6 მეტი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. სამუშაო ჯგუფის წევრები ჩართულები არიან საქართველოს ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ჯგუფმა გამოეხმაურა კახოვკის ჰიდროელეტქროსადგურის აფეთქების, ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურისთვის საფრთხის შექმნის, რუსეთში ნავთობის გაჟონვის და სხვა მოვლენებს განცხადებებით.

კახა გოგოლაშვილი (ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის თანათავმჯდომარე): მან დამსწრეებს მიულოცა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება და ისაუბრა სამოქალაქო საზოგადოების ერთიანობის მნიშვნელობაზე იმ ახალ რეალობაში, რომელშიც პროცესები მეტად ფორსირებულია და მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა არსებობს ორმხრივი თანამშრომლობისთვის და ასოცირების შეთანხმების 412-ე მუხლის საფუძველზე. მან ისაუბრა ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის სტრუქტურასა და მუშაობის პრინციპებზე, ასევე პლატფორმის ფუნქციონირებასა და მიზნებზე. "აღნიშნული პლატფორმის გამოწვევაა, რომ მისი საქმიანობის დაფინანსების სისტემური მექანიზმი არ არსებობს. შესაბამისად, მუდმივად საჭიროა ფინანსური რესურსის მოძიება სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად". ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის შეხვედრებისთვის მხარეები ამზადებენ თემატურ ანგარიშებს, ამასთან ერთად ყველა შეხვედრაზე მიიღება ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც მოიცავს არაერთ საკითხს და ყოველთვის ეხმიანება იმ დროისათვის აქტუალურ

და პრობლემურ საკითხებს. "დეკლარაციით მოვუწოდებთ მთავრობასა და ევროკავშირის წარმომადგენლებს კონკრეტული რეაგირებისა და ნაბიჯების გადადგმისკენ. მთავარი გავლენა გამომდინარეობს იქიდან, რომ ერთობლივი დეკლარაცია იგზავნება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოში. გასულ წელს, ევროკომისიის პრეზიდენტის ურსულა ფონ დერ ლაიენის მიერ გამოგზავნილი წერილი არის დასტური იმისა, რომ ჩვენი საქმიანობა მნიშვნელოვან შედეგებს განაპირობებს".

დანართად იხილეთ ევროკომისიის პრეზიდენტის წერილი.

ნათია კუპრაშვილი (სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი; ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი): შეაჯამა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის საქმიანობა, ისაუბრა საანგარიშო პერიოდში შემუშავებული და გამოქვეყნებული საჯარო დოკუმენტების როადენობასა და შინაარსზე; კრიზისებზე რომელზეც უხდებოდა რეაგირება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, როგორიცაა პოსტპანდემია, კრიზისი ბელორუსში, ყარაბაღის კონფლიქტი და რუსეთის შეჭრა და ომი უკრაინაში. ასევე თუ რა როლის შესრულება შეძლო მმართველმა კომიტეტმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ტრიოს ქვეყნებისთვის ევროკავშირის წევრობის სტატუსის მიღების გზაზე და როგორ შეიძლება იმოქმედოს თავად ამ ისტორიულმა გადაწყვეტილებამ (საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება და უკრაინისა და მოლდოვისთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე გადასვლამ) აღმოსავლეთ პარტიორობის არქიტექტურასა და მომავალზე. აღნიშნა, რომ გარკვეულწილად გახდა საფუძველი აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის დელეგატთა ვადის გახანგრძლივების გადაწყვეტილების. ისაუბრა იმ საფრთხეებზე, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოებაში განხეთქილების შეტანის ფონზე ჩნდება, როგორიცაა ბელორუსის და სომხეთის მაგალითები. შესაბამისად, ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო საზოგადოების ერთიანობისა და სოლიდარობის მნიშვნელობაზე.

2. ხმისდამთვლელი კომისიის არჩევა (7 წევრი)

პლატფორმის წევრების მიერ დასახელდნენს ხმისდამთვლელი კომისიის წევრების კანდიდატები.
დასახელებულმა კანდიდატებმა დაადასტურეს/უარყვეს ხმისდამთვლელ კომისიაში მათი წევრობის სურვილი, კერძოდ:

1. ლევან ნატროშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - **დაადასტურა კომისიაში მონაწილეობა**
2. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის - **თავი შეიკავა**
3. საბა ბრაჭველი - ღია საზოგადოების ფონდი - **თავი შეიკავა**
4. გიორგი ძამუკაშვილი - სათემო ფონდი "ადგილის დედა"- **დაადასტურა კომისიაში მონაწილეობა**

5. მანანა წულაია – ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა – **დაადასტურა კომისიაში მონაწილეობა**
6. ია თიკანაძე – ფრიდრიხ ებერტის ფონდი საქართველოში – **დაადასტურა კომისიაში მონაწილეობა**
7. გერმანე სალია – რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსი – **დაადასტურა კომისიაში მონაწილეობა**

პირველად სიაში დასახელებულმა 2-მა წარმომადგენელმა თავი შეიკავა კომისიაში მუშაობისგან, შესაბამისად დასახელდა ორი ახალი კანდიდატი:

8. შავლეგო შელია – ჯეფერსონის ცენტრი – **დაადასტურა კომისიაში მონაწილეობა**
9. ქრისტინა კილანავა – ასოციაცია ,,იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის – **დაადასტურა კომისიაში მონაწილეობა**

ნინო ჩხობაძე (საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე):
მიმართა საერთო კრებას წინადადებით, კენჭი ეყაროს დასახელებულ კანდიდატებს ერთიანად.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია

მომხრე: 128
თავი შეიკავა: 0
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: ხმის დამთვლელ კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი ერთიანად.

გაიმართა ღია კენჭისყრა ხმისდამთვლელი კომისიის წევრობაზე:

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 127
თავი შეიკავა: 1
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: ეროვნული პლატფორმის საერთო კრებამ აირჩია ხმისდამთვლელი კომისიის შემადგენლობა:

1. ლევან ნატროშვილი – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
2. გიორგი ძამუკაშვილი – ადგილის დედა;

3. ია თიკანაძე – ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა;
4. გერმანე სალია – რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსი;
5. მანანა წულაია – ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა";
6. შავლეგი შელია – ჯეფერსონის ცენტრი;
7. ქრისტინე კილანავა – ასოციაცია ,,იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის.

3. **დისკუსია**

მოსაზრებები გამოთქვეს:

მურმან მარგველაშვილი (მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის) – მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, რამდენი წევრი ორგანიზაცია ფუნქციონირებს უშუალოდ პლატფორმაში. მადლობას ვუხდი მოქმედ საბჭოს, რომელიც აქტიურად მუშაობდა. "თავიდან სკეპტიკურად ვუყურებდი მემორანდუმის გაფორმების საკითხს, თუმცა გარკვეულ მომენტში მივხვდი რომ ეს იყო საჭირო კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესში, ახლა მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ეს ინსტრუმენტი ისეთ მექანიზმად, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობასა და ჩართულობას". ასევე მან ისაუბრა ნამახვან ჰესის საკითხზე, რომელმაც სხვადასხვა სახის ზიანი მიაყენა ქვეყანას. ამ დრომდე ვერ მოხერხდა ერთობლივი დიალოგის ორგანიზება, რომელშიც ყველა მხარე იქნებოდა ჩართული.

ვახტანგ ზარქუა (ენერგოეფექტურობის ფონდი) - წარადგინა წინადადება შეიქმნას კომისია, რომელიც იმუშავებს წესდებაში არსებული ხარვეზების გამოვლენაზე და დახვწაზე. შესაბამისად, მომდევნო კრებას წარუდგენს წესდების ახალ რედაქციას. გამოეხმაურა კახა გოგოლაშვილის ინიციატივას: გამომდინარე იქიდან, რომ თავმჯდომარეობაზე თავისი კანდიდატურები მხოლოდ ორმა წევრმა წარადგინა, ვახტანგ ზარქუას წინადადებით კენჭი ეყარა ორი თანათავმჯდომარის მოღელის დამკვიდრებას, რომლებიც დაინიშნებოდნენ ერთი წლის ვადით და ერთად, ურთიერთთანამშრომლობისა და შეთანხმების საფუძველზე, განახორციელებდნენ წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს.

ლაშა ბლიაძე (პროფესიული კავშირების გაერთიანება) – მნიშვნელოვანი იყო შრომით საკითხებზე დისკუსია პარლამენტთან. მან ისაუბრა მეხუთე ჯგუფის სპეციფიკაზე, რომელიც პრობლემურია, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო (ფორუმის) დონეზე. სოციალური დიალოგი არის პროცესი, რომელშიც ჩართული უნდა იყოს დამსაქმებელი და დასაქმებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დიდი ცვლილებების გატარება, რაც გულისხმობს, რომ ამ ჯგუფში ჩართული უნდა იყოს პროფკავშირებისა და ბიზნესის წარმომადგენლები.

კახა გოგოლაშვილი (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრი) – "ერთიანობის

შენარჩუნება არის ძალიან მნიშვნელოვანი. განსხვავებული ხედვების მიუხედავად უნდა მოვძებნოთ თანამშრომლობის ფორმატი, რომელიც განმუხტავს არსებულ დაძაბულობას კოალიციის წევრებს შორის". მოუწოდა პლატფორმას არ ეხელმძღვანელა "ლეგალიზმის" პრინციპით, რადგან კრიზისის დაძლევა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე წესდებით ხელმძღვანელობა ამ დროს. შესთავაზა კოალიციის წევრებს პლატფორმის ერთპიროვნული თავმჯდომარეობის წესი შეეცვალათ სამწლიანი ან წელიწადნახევრიანი სამეულის თანათავმჯდომარეობით (ევროკავშირის "ტრიოს" ანალოგიურად), რომლებიც ერთად მართავდნენ პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობას მონაცვლეობით, რიგითობის დაცვით.

ქრისტინა კილანავა (ასოციაცია ,,იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის) – კონფლიქტების, მშვიდობისა და სახალხო დიპლომატიის თემა უფრო აქტიურად უნდა იყოს განხილული პლატფორმის წევრებს შორის. რეგიონულ ორგანიზაციებს ჭირდებათ პლატფორმის მხარდაჭერა თავიანთი საქმიანობის შედეგების გაზაირებისა და ადვოკატირების პროცესში.

ალეკო ცქიტიშვილი (ადამიანის უფლებათა ცენტრი) – "პოლარიცაზია სამოქალაქო საზოგადოებაში არის ის, რაზეც ხელისუფლება ოცნებობს. ჩვენ დავინახეთ, რომ ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა კანდიდატის სტატუსის მისაღებად. აქვე მადლობას ვუხდი პლატფორმის მმართველი ორგანოს წევრებს გაწეული სამუშაოსთვის. ხელისუფლების მიერ მცდელობა, რომ მიეღოთ აგენტების შესახებ კანონი არ იყო ბოლო საბოტაჟი, ჩვენ წინ გველის ბევრი გამოწვევა. ჩვენ გვყავს რუსეთზე ორიენტირებული ხელისუფლება, რომელიც ცდილობს სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციას. ვფიქრობთ, რომ სწორედ მსგავს გამოწვევებს ექნება ადგილი მომავალ წელს და მნიშვნელოვანია ჩვენი აქტიურობა და ბრძოლისუნარიანობა. მივიჩნევთ, რომ ახლა პლატფორმაში არის ცვლილებების დრო, სწორედ ამიტომ წარვადგინეთ ჩვენი კანდიდატი და მივიჩნევთ რომ მისი გამოცდილება მნიშვნელოვნად წაადგება პლატფორმის საქმიანობას".

ირაკლი პეტრიაშვილი (საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება) – "გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, ჩვენ ყველამ ერთად მოვიპოვეთ კანდიდატის სტატუსი. ყველას ამ პროცესში ჩვენი წვლილი გვაქვს და კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდ წარმატებას. უნდა გავაანალიზოთ ის საკითხები, რომელიც დაგვეხმარება იმ გზის ეფექტურ გავლაში, რომელიც მომდევნო ეტაპზებზე გადაიყვანს ჩვენს ქვეყანას. ჩვენ სოლიდარობა უნდა გამოვუხატოთ ერთმანეთს იმ თემატური მიმართულებით, რომელზეც თითოეული ჩვენგანი მუშაობს. უნდა შევძლოთ მოვახდინოთ პროცესებზე გავლენა".

ალუ გამახარია (ასოციაცია ,,მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია") – "გამოვეხმაურები კახა გოგოლაშვილის ინიციატივას, რომელიც ვფიქრობ კარგი მაგალითი იქნება არა მხოლოდ ჩვენთვის, როგორც კონფლიქტის მოგვარების პროცესში გადადგმული ნაბიჯი, არამედ ჩვენი პოლიტიკური პარტიებისთვისაც, თუ როგორ შეიძლება მოიძებნოს გამოსავალი კრიზისების დაძლევის პროცესში". მან ყურადღება გაამახვილა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონზე, და განმარტა რომ მისი მოსაზრებით კანონი სჯის

ოკუპირებულებს და არა ოკუპანტებს. "მნიშვნელოვანი იქნება თუ პლატფორმა იქნება ლობისტი, იმისათვის რომ ცვლილებები შევიდეს აღნიშნულ კანონში. ჩვენ გვაქვს არაერთი კონკრეტული მაგალითი და საქმეები, რომელიც ადასტურებს ჩვენს მოსაზრებებს. ასევე პრობლემურია ქართული პასპორტების გაცემის საკითხიც".

თამარ ჯაფარიძე (დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ) – "სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს ქვეყნის წინსვლას და განვითარებას. რომ არა ჩვენი აქტიურობა, დღეს ვერ ვიზეიმებდით კანდიდატის სტატუსის მიღებას. შემოვდივარ წინადადებით რომ მომავალ საერთო კრებაზე ყველა მონაწილეს ჰქონდეს ბეიჯი, რომ ადვილი იყოს ყველას გაცნობა".

ნათია კუპრაშვილი (ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი) - მისი ინიციატივით დაზუსტდა, რომ რადგან თანათავმჯდომარის პოზიცია, სრულიად ახალი იყო კოალიციის მმართველობითი სტრუქტურისთვის, წესდება აღარ ზღუდავდა ახალი კანდიდატების დასახელებას, რადგან აღარ ტარდებოდა თავმჯდომარის არჩევნები და კოალიცია ირჩევდა სრულიად ახალ პოზიციაზე წარმომადგენლებს.

დისკუსიის შემდეგ, საერთო კრებაზე დამსწრეთა მიერ წარმოდგენილ ინიციატივებზე გაიმართა ცალ-ცალკე კენჭისყრა ღია წესით:

კახა გოგოლაშვილის ინიციატივა: არალეგალიზმი და ორი თანათავმჯდომარის არჩევის პრინციპის შემოღება.

გადაწყვეტილება: პლატფორმის წევრთა უმრავლესობით კახა გოგოლაშვილის ინიციატივა მხედველობაში იქნა მიღებული.

ვახტანგ ზარქუას ინიციატივა შეიქმნას წესდების მონიტორინგის, შეფასებისა და წესდების ახალი რედაქციის შექმნის კომისია, რომელიც მომდევნო კრებაზე წარადგენს წესდების ახალ რედაქციას.

გადაწყვეტილება: დაევალოს საკოორდინაციო საბჭოს ჩამოაყალიბოს ვახტანგ ზარქუას ინიციატივასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას წესდების მონიტორინგის, შეფასებისა და წესდების ახალი რედაქციის შექმნის კომისია, რომელიც მომდევნო კრებაზე წარადგენს წესდების ახალ რედაქციას.

ნათია კუპრაშვილის ინიციატივა თანათავმჯდომარეობის სხვა კანდიდატებსაც კრებაზე დასახელების შესაძლებლობა მიეცეთ, ვინაიდან სტრუქტურით ახალი თანამდებობა შემოდის.

გადაწყვეტილება: თანათავმჯდომარეობის სხვა კანდიდატებიც დასახელდებოდნენ საკოორდინაციო საბჭოს კანდიდატების დასახელების დროს.

4. წესდებაში ცვლილებების შეტანა

შეხვედრის შემდეგ ნაწილში პლატფორმის თავმჯდომარემ დამსწრეებს წარუდგინა წესდების ცვლილებების პროექტი.

7 დეკემბერს, პლატფორმის წევრებთან, ელექტრონული საშუალებით, გაზიარდა წესდების ცვლილების პროექტი, რომელიც წარმოადგინა საბჭოს ორმა წევრმა, კერძოდ, პირველი ჯგუფის კოორდინატორმა ნონა ქურდოვანიძემ და მესამე ჯგუფის კოორდინატორმა ნუგზარ კოხრეიძემ. საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრების ფორმატში განხილვების პროცესში, ინიცირებულ ცვლილებებს დაემატა სხვა წევრთა მოსაზრებებიც. ცვლილებების უმეტეს პუნქტებზე მოხდა საბჭოს წევრთა მოსაზრებების შეჯერება და ისინი კრებას წარედგინა, როგორც საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივა წესდების 7.2. 10.5 (გ) მუხლების თანახმად პროცედურის სრული დაცვით. ის მუხლები, რომელზეც საბჭო ვერ შეთანხმდა, გაზიარებული და წარმოდგენილი იყო როგორც ინდივიდუალური მოსაზრებები.
საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ განიხილა საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარმოდგენილი წესდებაში ცვლილებების პროექტი.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის საერთო კრებაზე ცვლილებები შევიდა წესდების შემდეგ მუხლებში:

მუხლი 2. საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიზნები

2.1. საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიზნებია:

დაემატა ვ-პუნქტი - ვ) საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 128
თავი შეიკავა: 0
წინააღმდეგი: 0

კრების გადაწყვეტილება: დამტკიცდეს მუხლი წარმოდგენილი რედაქციით.

მუხლი 3. საქმიანობის ფორმები

3.1. წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ეროვნული პლატფორმა:

დაემატა - ნ-პუნქტი - ნ) ხელს უწყობს დიალოგზე დაფუძნებულ თანამშრომლობას აღმასრულებელ, საკანონმდებლო ხელისუფლებასთან (როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე) და სასამართლოსთან.

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 114
თავი შეიკავა:10
წინააღმდეგი: 4

კრების გადაწყვეტილება: დამტკიცდეს მუხლი წარმოდგენილი რედაქციით.

მუხლი 4. ეროვნული პლატფორმის წევრობა

შევიდეს ცვლილება 4.4 პუნქტში და ჩამოყალიბდეს 4.4 პუნქტი "პლატფორმის წევრობის მსურველი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს, რომელშიც მიუთითებს იმ პირის/პირთა შესახებ, რომლებიც წევრად მიღების შემთხვევაში წარმოადგენენ წევრობის მსურველ ორგანიზაციას პლატფორმასთან ურთიერთობაში. საკონტაქტო პირები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები და ბოლო 5 წლის განმავლობაში პოლიტიკური პარტიების თანამდებობის პირები. (საბჭოს ვერსია)"

აზრი გამოთქვეს: ქეთი ჩაჩავა, უჩა ნანუშვილი და გურამ იმნაძემ.
მათი მოსაზრებით, ეს ჩანაწერი იქნება პრობლემა და შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნებს.

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 0
თავი შეიკავა: 10
წინააღმდეგი: 118

კრების გადაწყვეტილება: მუხლი 4 პუნქტი 4.4 დარჩეს ძველი რედაქციით.

მუხლი 4. ეროვნული პლატფორმის წევრობა

განიხილეს პუნქტი 4.6 - "წევრად მიღების საკითხს წყვეტს პლატფორმის წევრები განცხადების შემოსვლიდან არაუგვიანეს 1 თვისა მოქმედი წევრების წერილობითი უკუკავშირის საფუძველზე. პლატფორმის წევრობის მსურველი ორგანიზაციის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მოქმედი 5 წევრი ორგანიზაციის რეკომენდაცია. თუ არცერთმა წევრმა 1 თვის განმავლობაში სამდივნოს მიერ მიწოდებული წევრობის მსურველთან მიმართებით არანაირი უკუკავშირი არ მოიწერეს, ორგანიზაცია 1 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ ხდება პლატფორმის წევრი, ხოლო თუ წევრების მხრიდან წერილობითი უკუკავშირის საფუძველზე დაფიქსირდა ორგანიზაციის მიღების თაობაზე განსხვავებული პოზიციები, საკითხს წყვეტს საკოორდინაციო საბჭო დამსწრეთა უმრავლესობით". **(საბჭოს ვერსია)**

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე – 7,
თავი შეიკავა–17,
წინააღმდეგი –114,

კრების გადაწყვეტილება: მე 4 მუხლის 4.6 დარჩეს ძველი რედაქციით.

მუხლი 4. ეროვნული პლატფორმის წევრობა

განიხილეს პუნქტი 4.7 – "გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა ორგანიზაციამ, მოქმედი საბჭოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს თანხმობის წერილი ეროვნული პლატფორმის მიზნების მოწონების, გაზიარების და ეთიკის კოდექსის სავალდებულოდ აღიარების შესახებ".

წინადადებას ეყარა ღია კენჭისყრის პროცედურით

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 128
თავი შეიკავა: 0
წინააღმდეგი: 0

კრების გადაწყვეტილება: დამტკიცდეს პუნქტი 4.7 წარმოდგენილი რედაქციით.

მუხლი 6. ეროვნული პლატფორმის წევრთა უფლება–მოვალეობანი

6.1. ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციას უფლება აქვს:

გ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოსგან ეროვნული პლატფორმის საქმიანობის შესახებ, მათ შორის, არაუგვიანეს 3 დღით ადრე საბჭოს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ, შემდგომ ოქმი, შეხვედრის დასრულების თარიღიდან ერთი კვირის ვადაში;

დ) საერთო კრებას წარუდგინოს წინდადადება ეროვნული პლატფორმის სახელით განცხადების/მიმართვის გავრცელების თაობაზე. (საბჭოს ვერსია)

ე) საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინოს საკუთარი ორგანიზაციის ან სხვა წევრი ორგანიზაციის წარმომადგენლის კანდიდატურა სხვადასხვა სამუშაო ფორმატებში მონაწილეობის მისაღებად. (საბჭოს ვერსია)

წინადადებას ეყარა ღია კენჭისყრის პროცედურით:

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 128
თავი შეიკავა: 0
წინააღმდეგი: 0

კრების გადაწყვეტილება: 6.1 (გ, დ, ე) – ინიცირებული ცვლილებები ერთხმად იქნა მიღებული წარმოდგენილი რედაქციით.

მუხლი 7. ეროვნული პლატფორმის საერთო კრება

7.1. ეროვნული პლატფორმის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ეროვნული პლატფორმის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა საკოორდინაციო საბჭოს, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის ან წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით და ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც; **(ნონა ქურდოვანიძის ინიციატივა)**

წინადადებას ეყარა ღია კენჭისყრის პროცედურით:

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 128
თავი შეიკავა: 0
წინააღმდეგი: 0

კრების გადაწყვეტილება: მუხლი 7.1 – ინიცირებული ცვლილებები, წარმოდგენილი რედაქციით ერთხმად იქნა მიღებული.

მუხლი 11. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე

პლატფორმაში წარმოდგენილ ცვლილებებთან მიმართებით არსებობდა სხვადასხვა მოსაზრება.
ბატონი კახა გოგოლაშვილის ინიციატივა გულისხმობდა 3 თანათამჯდომარეს, რომელთა შორის 1 ერთი წლის განმავლობაში ექნებოდა უპირატესობა და ერთი წლის შემდეგ როტაციის პრინციპით გადავიდოდა სხვა თანათავჯდომარეზე.
ბატონი ვახტანგ ზარქუას ინიციატივა ყოფილიყო ორი თანათავმჯდომარე, რომლებიც ერთდროულად წარმართავდენენ მუშაობას 1 წლის განმავლობაში.
ქალბატონი ლია ნადარაიას ინიციატივა გულისხმობდა 2 თანათავმჯდომარეს, სადაც უპირატესობა 1 ექნებოდა 6 თვის განმავლობაში, ხოლო მოერეს მომდევნო 6 თვის განმავლობაში.

ნუგზარ კოხრეიძე (პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილე, მესამე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი) - შესათავაზე კრების წევრებს ჯერ კენჭისყრით შეჯერებულიყვნენ კონცეპტუალურ მიდგომაზე და ამის საფუძვლად ჩამოეყალიბებინათ მუხლის განმარტება.

მან კენჭისყრაზე დააყენა პირველი კონცეპტუალური პრინციპი:

- პლატფორმა ირჩევს ორ თანათავმჯდომარეს:

წინადადებას ეყარა ღია კენჭისყრის პროცედურით:

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 125
თავი შეიკავა: 1
წინააღმდეგი: 2

კრების გადაწყვეტილება: პლატფორმა ირჩევს ორ თანათავმჯდომარეს.

- პლატფორმა ირჩევს თანაბარი უფლებამოსილების მქონე ორ თანათავმჯდომარეს:

წინადადებას ეყარა ღია კენჭისყრის პროცედურით:

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 112
თავი შეიკავა: 10
წინააღმდეგი: 6

კრების გადაწყვეტილება: პლატფორმა ირჩევს თანაბარი უფლებამოსილების მქონე ორ თანათავმჯდომარეს.

პლატფორმა ირჩევს თანათავმჯდომარეებს ერთი წლის ვადით:

წინადადებას ეყარა ღია კენჭისყრის პროცედურით:

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 123
თავი შეიკავა: 3
წინააღმდეგი: 2

კრების გადაწყვეტილება: პლატფორმა ირჩევს თანათავმჯდომარეებს ერთი წლის ვადით.

მიღებულ კონცეფციაზე დაყრდნობით მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

11.1. საკოორდინაციო საბჭოს ორთანათავმჯდომარეს, თანაბარი უფლებამოსილებით, ირჩევს საერთო კრება, პლატფორმის წევრთაგან, ერთი წლის ვადით;

წინადადებას ეყარა ღია კენჭისყრის პროცედურით:

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 108
თავი შეიკავა: 10
წინააღმდეგი: 10

კრების გადაწყვეტილება: მუხლი 11.1 – საერთო კრებაზე ინიცირებული ცვლილებები ერთხმად იქნა მიღებული.

ნუგზარ კოხრეიძე (პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილე, მესამე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი). შესთავაზა პლატფორმას, რომ ვინაიდან შეიცვალა თანათავმჯდომარეების არჩევის წესი, რაც იწვევს თავის მხრივ მრავალ ცვლილებებს სხვა დაკავშირებულ მუხლებთან მიმართებით, რაზეც არ უმსჯელია საკოორდინაციო საბჭოს და შესაბამისად კრებაზე ვერ იქნება განხილული. ამიტომ დაევალოს საკოორდინაციო საბჭოს მუხლი 11.1 ით გამოწვეული შეუთავსებლობები, რომელიც შესაძლოა წესდების სხვა მუხლებთან ამ ცვლილების გამო წარმოიშვა გასწორდეს ახლადარჩეული საკოორდინაციო საბჭოს მიერ მისი მანდატის განხორციელების დაწყებისთანავე.

წინადადებას ეყარა ღია კენჭისყრის პროცედურით:

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 115
თავი შეიკავა: 6
წინააღმდეგი: 7

კრების გადაწყვეტილება: დაევალოს საკოორდინაციო საბჭოს მუხლი 11.1 ით გამოწვეული შეუთავსებლობები, რომელიც შესაძლოა წესდების სხვა მუხლებთან ამ ცვლილების გამო წარმოიშვა გასწორდეს ახლადარჩეული საკოორდინაციო საბჭოს მიერ მისი მანდატის განხორციელების დაწყებისთანავე.

კახა გოგოლაშვილი (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრი) – შემოვიდა ინიციატივით შეიცვალოს სამუშაო ჯგუფის კოორდინატორთა არჩევის წესი, რაც გულისხმობს ერთი ხმის პრინციპის შემოღებას. ერთი ხმა ირჩებს 1 კანდიდატს (ჯგუფის კოორდინატორად) შესაბამის ჯგუფში. ამ კრებამდე მოქმედი წესით, ყოველ ორგანიზაციას შეეძლო ხმა მიეცა ორი ორგანიზაციისთვის თითოეულ სამუშაო ჯგუფში ასარჩევად. ახალი წესით კი ერთ ორგანიზაციას სამუშაო ჯგუფში მხოლოდ ერთი კოორდინატორისთვის ხმის მიცემის უფლება აქვს.

წინადადებას ეყარა ღია კენჭისყრის პროცედურით:

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია

მომხრე: 109
თავი შეიკავა: 9
წინააღმდეგი: 11

კრების გადაწყვეტილება: ერთ ორგანიზაციას სამუშაო ჯგუფში მხოლოდ ერთი კოორდინატორისთვის ხმის მიცემის უფლება აქვს.

4. დავების განმხილველი ორგანოს ანგარიში

თენგიზ სვანიძე (დავების განმხილველი ორგანოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი) – წევრთა საერთო კრებაზე, დავების განმხილველი ორგანოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თავიანთი საქმიანობის შესახებ, კერძოდ, 2022 წლის 18 ივლისს პლატფორმის წევრი ორგანიზაციების გაფართოებული შეხვედრაზე, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მსჯელობა მიმდინარეობდა ევროკავშირის 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებაზე, ორგანიზაციის „ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მშვიდობის სამოქალაქო პლატფორმა“ ხელმძღვანელმა ქ-მა ნატალია არღვლიანმა გამოთქვა თავისი აზრი რომელიც, წევრთა მოსაზრებით, წინააღმდეგობაში მოდიოდა პლატფორმის წესდებასთან. ამან გამოიწვია წევრი ორგანიზაციების აღშფოთება და მოთხოვნა, რომ საკითხი განხილულიყო ეთიკის კოდექსის ფარგლებში შექმნილ დავების განმხილველ ორგანოში. წევრთა მოთხოვნის საფუძველზე, დავების განმხილველი ორგანოს სხდომა ჩატარდა 2022 წლის 3 აგვისტოს.
დავების განმხილველი ორგანოს წევრებმა მსჯელობისა და განხილვის საფუძველზე რეკომენდაციით მიმართეს საკოორდინაციო საბჭოს, რომ საერთო კრების ჩატარებამდე მოხდეს აღნიშნული ორგანიზაციისთვის წევრობის შეჩერება და ორგანიზაციის გარიცხვის საკითხი დაისვას კენჭისყრაზე მომდევნო საერთო კრების მიმდინარეობისას.

დანართად იხილეთ დავების კომისიის შეხვედრის ოქმი.

თენგიზ სვანიძე (დავების განმხილველი ორგანოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი) – წინადადების დაყენება: არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მშვიდობის სამოქალაქო პლატფორმა“ გაირიცხოს პლატფორმის წევრობიდან საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდების მიზნებისა და ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის.

წინადადებას ეყარა ღია კენჭისყრის პროცედურით:

სულ: 128 ხმის მქონე ორგანიზაცია
მომხრე: 105
თავი შეიკავა: 17

წინააღმდეგი: 6

კრების გადაწყვეტილება: არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის მშვიდობის სამოქალაქო პლატფორმა“ გაირიცხოს პლატფორმის წევრობიდან საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდების მიზნებისა და ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის.

5. არჩევნები

წევრთა საერთო კრების მიმდინარეობისას ჩატარდა პლატფორმის თანათავმჯდომარეებისა და სამუშაო ჯგუფების კოორდინატორთა არჩევნები.
ასევე ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის წევრთა და დავების განმხილველი ორგანოს წევრთა არჩევნები. საერთო კრების შესახებ ინფორმაცია წევრებთან გაზიარდა 29 ნოემბერს. ამავე წერილს თან ახლდა ეროვნული პლატფორმის წესდებიდან ინსტრუქციები არჩევნების პროცედურებთან დაკავშირებით.
არჩევნების წინ ჩატარდა ხელახალი ქვორუმის განმსაზღვრელი აღრიცხვა.

ახალი რეგისტრაციის დროს დადგინდა, რომ 128 ხმის უფლების მქონე პირიდან არჩევნების დასაწყისში დაფიქსირდა 105 ხმის უფლების მქონე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

შესაბამისად, 2023 წლის 19 დეკემბერს ჩატარებულ საერთო კრებაზე, სხვადასხვა თანამდებობებზე ჩასატარებელი არჩევნებისთვის, სამდივნოს მიერ რეგისტრირებული 105 ორგანიზაციის ხმის უფლების მქონე პირზე გაიცა ბიულეტენების 105 შეკვრა/კონვერტი სამდივნოსა და საარჩევნო კომისიის წევრის მიერ.

თითოეულ შეკვრა/კონვერტში მოთავსებული იყო 4 განსხვავებული ფერის ბიულეტენი, რომელიც 4 სხვადასხვა არჩევნებს ასახავდა.

არჩევნების პროცედურას მოდერირებდა ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცნტრი JRC. ხმის დამთვლელ კომისიას, კომისიის გადაწყვეტილებით , თავმჯდომარეობდა ლევან ნატროშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ISFED .

კანდიდატების დასახელება:

ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარის პოზიციაზე დასახელდა 2 პრეტენდენტი.

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო;
2. უჩა ნანუაშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი.

კრებაზე დასახელებული კანდიდატები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სამუშაო ჯგუფების კოორდინატორთა ფარული წესით კენჭისყრაში:

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორეთა კანდიდატები:

პირველი ჯგუფი:

- ბაია პატარაია – კავშირი საფარი
- ეკა ციმაკურიძე – დემოკრატიის ინდექსი საქართველო
- ლაშა ტულუში – ლიბერალური აკადემია თბილისი
- ქეთევან ჩაჩავა – დემოკრატიისა და განვითარების ცენტრი

მეორე ჯგუფი:

- ზვიად ელიზიანი – საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი
- ნინო ელიზბარაშვილი – ასოციაცია ქალი და ბიზნესი
- კახა ნადირაძე – ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
- გიორგი მელაშვილი – ევროპულ–ქართული ინსტიტუტი
- გიორგი ჭუმბურიძე – ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრი ქუთაისი
- ლევან სილაგავა – საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია

მესამე ჯგუფი:

- ნუგზარ კოხრეიძე – სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბი თაობათა დიალოგი
- ვახტანგ ზარქუა – ენერგოეფექტურობის ფონდი
- იზოლდა მაჭუტაძე – ასოციაცია ჭაობი
- მანანა დევიძე – ფონდი კავკასიის ეკოლოგია
- რეზო გეთიაშვილი – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
- მურმან მარგველაშვილი – მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

მეოთხე ჯგუფი:

- ნუკრი ყველაშვილი – ახალგაზრდული ალტერნატივა
- ირმა პავლიაშვილი – ღია სივრცე კავკასია
- ალეკო ცქიტიშვილი – ადამიანის უფლებათა ცენტრი
- ნუკრი მილორავა – ფონდი აფხაზეთი
- ცირა მესხიშვილი – ასოციაცია ტოლერანტი
- მარინე სოლომონიშვილი – საერთაშორისო ფონდი "ლეა"
- მაკა ჯახუა – მწვანე ტალღა

მეხუთე ჯგუფი:

- რაისა ლიპარტელიანი – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
- ნუგზარ მელაძე – მწვანე დედამიწა
- ირინა ფუტკარაძე – საზოგადოებრივი დამცველი
- ლადო მკერვალიშვილი – უფლებები საქართველო
- ნატალია შავლაძე – ენერგეტიკის პროფკავშირები

მოსაზრებები გამოთქვეს:

გურამ იმნაძე (სოციალური სამართლიანობის ცენტრი) – არალეგიტიმურად მიიჩნია მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორად ნუგზარ კოხრეიძის კანდიდატურის დასახელება, იმ არგუმენტით, რომ იგი წინა წლებში იყო მეხუთე ჯგუფის კოორდინატორი და ბოლო არჩევნებზე მესამე ჯგუფის კოორდინატორად აირჩიეს. საბჭოში მისი წარმომადგენლობა აღემატებოდა 2 წლიან ვადას, რაც წესდების 10.8 მუხლს ეწინააღმდეგება.

ნონა ქურდოვანიძე (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) – მან გაიზიარა გურამ იმნაძის პოზიცია და მოუწოდა პლატფორმას მოეხსნათ კენჭისყრის პროცედურიდან ნუგზარ კოხრეიძის კანდიდატურა.

ნინო ჩხობაძე (საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო) – მან აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით თავად ნუგზარ კოხრეიძემ შესთავაზა საკოორდინაციო საბჭოს ცვლილებები წესდებაში, რაც ზღუდავდა ორგანიზაციის ერთი წარმომადგენლის კენჭისყრას სხვადასხვა ჯგუფებიდან, მაგრამ საბჭომ ის არ მიიღო.

რაისა ლიპარტელიანი (საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება) – მან მოითხოვა რომ ყველა იმ პირზე მოხდეს დადგენა, რომელიც უკვე ზედიზედ მერამდენედ იყრის კენჭს საბჭოში და კრება თავად გაითვალისწინებს ამ საკითხს.

ნათია კუპრაშვილი (სხდომის მოდერატორი, ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი) – მან აღნიშნა, რომ წესდების აღნიშნული მუხლი მრავალი წელია სხვაგვარად მუშაობს პრაქტიკაში და რომ თავად კრებამ გადაწყვიტოს დაუჭერს თუ არა მხარს ნუგზარ კოხრეიძის კანდიდატურას, მითუმეტეს, რომ კრება უკვე ინფორმირებულია ამის თაობაზე. ასევე სხდომის კოორდინატორმა მრავალჯერ მოუწოდა კანდიდატებს და მათ წარმდგენებს გადაამოწმონ თავიანთი კანდიდატურები სიებში.

კრებაზე დასახელებული კანდიდატები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ევროკავშირი–საქართველოს პლატფორმის სამუშაო ჯგუფების კენჭისყრაში:

ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრთა არჩევნები

პირველი ჯგუფი - 4 წევრი

- ვახტანგ მაისაია - საქართელოს გეოსტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი
- ლიკა ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
- ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

- ავთანდილ გველებიანი - თავისუფალი მედიასივრცე
- ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
- ეკა ციმაკურიძე - დემოკრატიის ინდექსი საქართველო
- გურამ იმნაძე - სოციალური სამართლიანობის ცენტრი
- გიორგი კლდიაშვილი - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
- ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
- მიხეილ მირზიაშვილი - დემოკრატიისა და განვითარების ცენტრი
- ირაკლი კოკაია - საზოგადოებრივი დამცველი

მეორე ჯგუფი - 4 წევრი

- კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
- დათო ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
- ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია ”ქალი და ბიზნესი”
- მაკა ჯორჯაძე - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ,,ელკანა”
- გიორგი კაჭარავა - ევროკავშირი–საქართველოს ბიზნესსაბჭო
- თემურ ვეკუა - კავშირი ”ეკოტექი”
- კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია

მესამე ჯგუფი - 2 წევრი

- ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
- რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
- მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
- მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
- კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია

მეოთხე ჯგუფი - 2 წევრი

- იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ”თანხმობა”
- მაგდა კოტრიკაძე - ფსიქო-სოციალური დაცვა, უსაფრთხოება და ინტეგრაცია
- ირმა პავლიაშვილი - ღია სივრცე კავკასია
- ალეკო ცქიტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი
- მაკა ჯახუა - მწვანე ტალღა
- ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
- ნაირა ბეპიევი - ა(ა)იპ "კავკასიური მოზაიკა"
- ალექსანდრა კალატოზიშვილი - სამოქალაქო განათლების მულტიეთნიკური რესურცენტრი

მეხუთე ჯგუფი - 2 წევრი

- რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
- ვიტალი გიორგაძე - რკინიგზელთა პროფკავშირები
- მაია კობახიძე - პედაგოგთა და მეცნიერთა პროფესიული კავშირი
- ტატა ბერიძე - ბუღალტერთა კავშირი

მოსაზრებები გამოთქვეს:

გიორგი მელაშვილი (ევროპულ-ქართული ინსტიტუტი) – მან განაცხადა, რომ იგი დასახელდა მეორე სამუშაო ჯგუფში კანდიდატად, თუმცა სიაში მისი გვარი ვერ ამოიკითხა.

ნათია კუპრაშვილი (სხდომის მოდერატორი, ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი) მან შეახსენა გიორგი მელაშვილს, რომ არაერთხელ მოუწოდა კანდიდატებად დასახელებულ წევრებს გადაემოწმებინათ მათი კანდიდატური ყველა სიაში, რომელშიც დასახელდნენ.

გიორგი მელაშვილმა (ევროპულ-ქართული ინსტიტუტი) , მხოლოდ ბიულეტენების გაცემის პროცესში და ხმისმიცემის პროცესის დასაწყისში შენიშნა აღნიშნული გარემოება, რის შემდეგაც საარჩევნო კომისიამ მისი კანდიდატურა ჩაამატა მეორე ჯგუფის კანდიდატთა სიაში.

კრებაზე დასახელებული კანდიდატები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დავების განმხილველი ორგანოს წევრთა კენჭისყრაში:

- საბა ბრაჭველი - ღია საზოგადოების ფონდი
- ლიკა ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
- ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის
-
- თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
- ტატა ბერიძე - ბუღალტერთა კავშირი
- გურამ იმნაძე - სოციალური სამართლიანობის ცენტრი

6. არჩევნების შედეგების გამოცხადება / საერთო კრების შეჯამება.

საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგები გამოაცხადა:

კოორდინატორების არჩევნებში წარდგენილ ორგანიზაციათაგან სამუშაო ჯგუფებში არჩეულ იქნა შემდეგი კანდიდატები:
I სამუშაო ჯგუფი

1. ლაშა ტულუში – ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ეკა ციმაკურიძე – დემოკრატიის ინდექსი-საქართველო

II სამუშაო ჯგუფი

1. ნინო ელიზბარაშვილი – ასოციაცია ,,ქალი და ბიზნესი"
2. ზვიად ელიზიანი – საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი

III სამუშაო ჯგუფი

1. რეზო გეთიაშვილი – კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი
2. ნუგზარ კოხრეიძე – სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბი ,,თაობათა დიალოგი"

IV სამუშაო ჯგუფი

1. მაკა ჯახუა – ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა
2. ნუკრი ყველაშვილი – ახალგაზრდული ალტერნატივა

V სამუშაო ჯგუფი

1. რაისა ლიპარტელიანი – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
2. ირინა ფუტკარაძე – საზოგადოებრივი დამცველი

დანართად იხილეთ კენჭისყრის შედეგები.

ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის წევრთა არჩევნების შედეგები:

I ჯგუფი

1. ნათია კუპრაშვილი – ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტულუში – ლიბერალური აკადემია თბილისი
3. გიორგი კლდიაშვილი – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
4. ნონა ქურდოვანიძე – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

II ჯგუფი:

1. კახა გოგოლაშვილი – საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
2. დავით ცისკარიძე – საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
3. ნინო ელიზბარაშვილი – ასოციაცია ქალი და ბიზნესი
4. კონსტანტინე ჟღენტი – საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია

III ჯგუფი:

1. რეზო გეთიაშვილი – კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი
2. მურმან მარგველაშვილი – მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

IV ჯგუფი:

1. მაკა ჯახუა – ასოციაცია მწვანე ტალღა
2. ალეკო ცქიტიშვილი – ადამიანის უფლებათა ცენტრი

V ჯგუფი:

1. რაისა ლიპარტელიანი – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
2. მეორე კანდიდატი ზუსტდება

დავების განმხილველი ორგანოს წევრთა არჩევნების შედეგები:

1. ნატალია ხოხიაშვილი – ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
2. თენგიზ სვანიძე – ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია

დავების განმხილველი ორგანოს მესამე წევრის პოზიციაზე, 2-მა კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღო. შესაბამისად საკითხი მსჯელობისთვის გადაეცა ახლადარჩეულ საკოორდინაციო საბჭოს.

საბა ბრაჭველი (ღია საზოგადოების ფონდი) – 33 ხმა
ლია ნადარაია (ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი) – 33 ხმა

დანართად, იხილეთ კენჭისყრის შედეგები.

წევრთა საერთო კრება დახურულად გამოცხადდა.

ნინო ჩხობაძე – საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, სხდომის მოდერატორი

ნათია კუპრაშვილი – სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, სხდომის მოდერატორი

ქეთევან ჭურაძე – სხდომის მდივანი